ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 180
აგვისტოს 24, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 180
აგვისტოს 24, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

კავკასიაში საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фариацевтика.

ტელეფონი № 741.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჯაზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სააგენტონი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—ნ.—18)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

არტისტობის მსურველთა საყურადღებოდ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წელს აპირებს გამოსაცდელ წარმოდგენის გამართვას; ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება ვისაცა ჰსურს, უნდა განაცხადოს თეატრის კანტორაში დილის 10—12 საათამდის. (3—მ.—2)

სასწავლებელი

და

პანსიონი

გ. ლ. ჟუჟანოვისა

იღებს ბავშვებს სრულ და ნახევარ პანსიონერებათ და აგრეთვე გარედან მოსიარულედ და ამზადებს ყველა სახელმწიფო სასწავლებელთათვის. აგრეთვე მიიღება ყველა სასწავლებელში მოსიარულე ბავშვები ბინით. ბავშვებს მიიღებენ 22 აგვისტოდგან. სწავლა 2-ს სექტემბრიდან დაიწყება. პანსიონი იმყოფება სოლოლაკში, ბებუთოვის (წინეთ სადოვის) ქუჩაზე, სახლი ექიმ ქუჩარიანცისა № 50. (5—407—1).

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭოსაგან.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო ამით აცხადებს, რომ 31 აგვისტოს ამა 1902 წ., დღისით 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქალაქ ქუთაისს დანიშნულია

ვაჭრობა

ჭიათურაში ორის სამრეწველო გზის გაკეთების იჯარით გასაცემად „ნაფარცხევ-გოგოლაურისა“ და „კოკოცაურის“ გზისა, სულ ხარჯთ-აღრიცხვით 8,724 მან. 33 კაპეიკისა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე ბედ მეათედი გადადებულის ფულისა (10°/₀) ან ნაღდად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ პროცენტიან ქაღალდებად (გირაოს მოწმობანი არ იქნება მიღებული). ხარჯთ-აღრიცხვანი, პროფილები და პირობანი შეიძლება გაისინჯოს ყოველ დღე საბჭოს სადგომში. დამტკიცება, ანუ არ დამტკიცება ვაჭრობის შედეგისა დამოკიდებულია საბჭოზედ. (3—ნ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 24 **აგვისტოს**.

ყველამ ვიცით, რომ სახალხო სკოლების მასწავლებლების არც აწმყო ცხოვრებაა იავარდით მოფენილი და არც მომავალი ულიმით. მათი შევიწროებული, არა სასურველი მდგომარეობა, მათი ტანჯვა და სიღარიბე ცამდის ჰღაღადებს. მათს უნუგეშო მდგომარეობას ბოლო არ მოეღო. სოფლის მასწავლებელს თუმცა ისევ ის მძიმე ტვირთი აწევს, მაგრამ შიმშილით, ლამის, სული ამოჰხდეს.

მე აქ სახეში მყავანან ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელნი. ამ უკანასკნელს დროს საქართველოში მასწავლებლობა ისე გაადვილდა, ისეთის თვალით დაუწყეს ცქერა, რომ ვისმეს ან სამსახურიდგან დაითხოვენ, ან ვერ მოახერხებს სამსახურს, ან რაიმე სასწავლებელს შეგირდი ვერ დაამთავრებს, ამისთანანი მაშინვე მასწავლებლობასა ჰკიდებენ ხელსა, თითქოს ეს ხელობა ასე აბუჩად დასაჭერი და ასე საადვილო იყოს. არ აგონდებათ, რა მოვალეობა აწევს თავს მასწავლებელსა, ან თვითონ რა განათლება და მომზადება უნდა ჰქონდეს, რომ პირნათლად და სინიდისიერად შეასრულოს ეს ფრიად მძიმე და რთული ხელობა მასწავლებლობისა.

იქნება მოიპოვებოდნენ ჩვენში იმისთანანი, რომ მიპასუხონ: „მაშ რა ღონისძიებას მიჰმართონ, შიმშილით ხომ არ დაწყდებიან, იბრძვიან ლუკმა პურისთვისაო“. ეს ფრიად შემცდარი აზრია და ამასთანავე მავნებელიც, როგორც სამშობლო ქვეყნისთვის, ისე მთელის კაცობრიობისათვის. განა არ შეიძლება კაცმა სხვა საშუალებით მოიპოვოს დღიური ლუკმა? მოჰკიდოს ხელი იმ საქმეს, რომელიც უფრო ემარჯვება; თუ კიდევ რაიმე საქმეს ვერ იშოვის რომელსამე დაწესებულებაში, სწორედ უბრალო დღიურ მუშად შეიქმნას და არ ანაცვალოს თავის პირად ინტერესებს ახალის თაობის აღზრდა, რომელზედაც არის დამყარებული ჩვენი მომავალი და კეთილი წარმატება? გამოტეხით მოგახსენებთ, რომ ამ გვარ მასწავლებლებს მხოლოდ ზარალი მოაქვთ კაცობრიობისთვის და თავიანთ ანტიპედაგოგიური მეთოდებით [illegible] ბევრ ნორჩ ნიჭიერ გონებას ყმაწვილისას. ხშირად ამ გვარი მასწავლებლები, რადგანაც თვითონ არა აქვთ უნარი მასწავლებლობისა, ემორჩილებიან ხოლმე სხვა-და-სხვა ახალ მოგონილ ცრუ სისტემებს სწავლებისას, მაგ., „მუნჯურ მეთოდს“ და სხვ….

ამისთანა მასწავლებელთ არც მომზადება აქვთ და გარემოებაც ხელს არ უწყობს, რადგან პირველ-დაწყებით სკოლების ბიბლიოთეკანი ძალიან ღარიბნი არიან იმისთანა წიგნებით, საიდგანაც შეეძლებოდათ ეხელმძღვანელნათ და მოეგროვებინათ სხვა-და-სხვა ცნობანი, რაც-კი შეეხებოდა მათ ხელობას. ამ მასწავლებლებს არ შეუძლიანთ იქონიონ თავიანთ შეხედულობა პედაგოგიურ საგანზედ.

გამოვა ეს ვაჟბატონი საზოგადო სარბიელზედ, ხალხს უახლოვდება და ხალხიც ზნირად ენდობა, რადგან მასწავლებლობის ნიშანი აკრია. ეკითხებიან სხვა-და-სხვა სასოფლო საქმეებს, მაგრამ რა მოგეხსენებათ ამ გვარ მასწავლებლებისათვის და რასა ვსთხოვთ: იგი ხალხს ვერაფერს დარიგებს და ვერ მისცემს, რადგანაც თითონ მომზადება არა აქვს.

პირ-იქით ამისთანა ყმაწვილები ხალხს, წინამძღოლობას-კი არა, უკუღმართ გზაზე აყენებენ: [illegible] ავრცელებენ და გაიძვერებენ. ბევრი ამგვარი მასწავლებელი ხალხის უვიცობით სარგებლობს: ფასით თხოვნებს უწერენ და მეფხაშობასაც-კი ჰკიდებენ ხოლმე ხელს. ზოგჯერ იმასაც ვხედავთ, რომ ამ ნაირი, საქმის არ მცოდნე მასწავლებელი ბძანებს ხოლმე უფროსად საქმის მცოდნე გამოცდილ მასწავლებლისა. ხშირად სამწუხაროდ ბევრი პირველ დაწყებით სასწავლებელს ჰყავს ისეთი მოუმზადებელი მასწავლებელი და ჰხშავს ბევრ ნიჭიერ ყმაწვილის გონებას.

დროა, ვისაც ხალხის კეთილ-დღეობისათვის გული შესტკივა, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და იყოლიოს სოფლებში მცოდნე ჭეშმარიტი აღმზრდელნი ახალის თაობისა, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო სამშობლო ქვეყანას, არამედ მთელ კაცობრიობას.

ტფილისი

✦ ჩვენ გვაცნობებენ, რომ ჩვენნი პატივცემულნი მეცნიერნი პროფესსორი ნიკ. მარრი და პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი პალესტინიდგან უკვე წამოსულან და სუეცში არიან ამ ჟამად. სამწუხაროდ, იქ გამოუცხადებიათ მათთვის, რომ კარანტინის გამო დიდხანს დაბრკოლდებით გზაზეო.

✦ რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში, რაც დრო გადის, უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ ჩვენს წარსულს. ქართულ საეკკლესიო ისტორიის შესწავლის ხალისს მომეტებულად იჩენენ აკადემიები. ამა თუ იმ აკადემიაში სტუდენტებს აწერინებენ დისერტაციებს, რომელთაც თემად აქვთ გამორკვევა რომელისამე საგნისა ქართველთა წარსულის შესახებ. დღეს მოსკოვის აკადემიის მეოთხე კურსზე არის გ. ა. ქანიშვილი, რომელიც დისერტაციას სწერს ამ თემაზედ: „Отношеніе грузинской церкви къ армянской"; ყაზანის აკადემიას ასრულებს ვ. ნ. ჩიხლაძე და დისერტაციას სწერს ამ თემაზედ: „Сношенія грузинской церкви и русской между собою до присоединенія Грузіи къ Россіи въ связи съ вопросомъ о церковномъ устройствѣ въ Грузіи".

✦ ამ დღეებში ქალაქის ბეითალმა ტერ-სტეფანოვმა გასინჯა ორი სული ქალაქის მიერ შეძენილ საქონლისა და აღმოჩნდა, რომ ჭირით იყვნენ ავად. დაუყოვნებლივ შეატყობინა ეს ამბავი საგუბერნიო ადმინისტრაციას; ადმინისტრაციამ ავლაბარი საშიშოდ იცნო ჭირის მხრივ და მისცა განკარგულება, შეატყობინონ ეს გარემოება მცხოვრებთ.

✦ გუშინ-წინ სოფ. მამუკის მცხოვრებლებმა გაგზავნეს თავიანთ მიერ ამორჩეული კაცი მორიგ ბეითალთან ბ-ნ გოფმანთან და გამოუცხადეს თავისი უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ ავლაბრიდგან იმათ სოფელზედ ყოველ დღე აუარებელი საქონელი აუდით და ჩაუდით და ამ გარემოებას საჭირო ყურადღებას არ აქცევენო. თუ ამ სოფელზედ კიდევ ივლის საქონელი ჭირის მოსპობამდის, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მივმართოთ უმაღლეს მთავრობასაო.

✦ ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწეს ექიმს ბ-ნს მაჭავარიანს სართიჭალის საბოქაულოში ხუნაგით ავადმყოფები აღმოუჩენია ორ ალაგასა; ამ ავადმყოფობას 18 კაცი კიდეც უმსხვერპლნია; მაჭავარიანისავე განკარგულებით, ყველა აქ ახლო მდებარე სოფლის ბავშვებს აცრათ ხუნაგის საწინააღმდეგო შრატით ეს სენი. თვით მცხოვრებნი არა ჩვეულებრივის სიხარულით მიჰგებებიან ექიმის ამისთანა განკარგულებას.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, მომავალ ოთხის წლისათვის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად ტფილისი გაიყო სამ ნაწილად. გამგეობის განკარგულებით, აღიბეჭდა ბლანკები, რომელშიაც მოხსენებულია გვარი და სახელი ამომრჩეველთა. ეს ბლანკები დაიბეჭდა სამ ფერ ქაღალდზედ; თეთრ-ფერ ქაღალდზედ დაბეჭდილია პირველ ნაწილის ამომრჩეველთა სახელი და გვარი; მოლურჯოზედ—მეორე ნაწილისა და წითელზედ—მესამისა. ეს ბლანკები, თუმცა ბევრი გაიცა, მაგრამ ჯერ ამომრჩეველთა სია-კი არავის წარუდგენია გამგეობისათვის.

✦ სოფ. იგოეთში (გორის მაზრაში), აზნაურს ზაალიშვილებს მოუხდათ მამულის თაობაზედ ერთმანეთში ჩხუბი. ჩხუბში პეტრე ზაალიშვილმა ნამგლით დასჭრა თავის ბიძაშვილი ზალ. ზაალიშვილი.

✦ ამ დღეებში დაიწყება გამოფენა რკინის გზის მოსწავლეთა ნაწარმოებთა; გამოფენა ამ საგნებისა რკინის გზის სახელოსნოთა ამქრის შენობაშია.

✦ ამავე სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დანიშნულია დღეს, 24 აგვისტოს.

✦ გუშინ იყო დანიშნული კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ნიხრის გამოცვლა პურზედა და ხორცზედ ტფილისში.

✦ ქალაქის მიერ შეძენილ საქონელში იმდენად გაძლიერდა ჭირი, რომ მარტო გუშინ საღამოთი საყასპოში მირეკილ საქონელში აღმოჩნდა 11 სული ავადმყოფი, რომლებიც დახოცეს და დასწვეს.

✦ იმ 650 ყმაწვილ კაციდგან, რომელნიც წელს ტფილისიდგან არიან სალდათად გაწვეულნი, განთავისუფლებულ იქნებიან 200 კაცამდე პირველ ხარისხის შეღავათის ძალით.

✦ ტფილისის საყასბოს ადმინისტრაციამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა შეაკეთოს: 1) მესამე და მეცხრე საქონლის თავშესაფარი, 2) ხორცის საწვავი ღუმელები, რაიცა არა ერთხელ უთხოვნია საყასპოს ადმინისტრაციის გამგეობისათვის, 3) შეაკეთოს საზოგადოდ საყასბო და 4) გადაკეთდეს ღორის ხორცის გასასინჯი ფარდული, რადგანაც სექტემბრის ნახევრიდგან დაიწყებს მოქმედებას მიკროსკოპიული სადგური.

✦ რადგანაც მუხრანის ხიდთან ბორნის მოიჯარადრემ, ბ-ნმა ბუდდანოვმა, არ შეასრულა ხელშეკრულობის სხვა-და-სხვა პირობა ქალაქთან და არ დააკმაყოფილა სატეხნიკო მოთხოვნილება, ამიტომ, მთავრობის განკარგულებით, ამ ბორნის მუშაობა შეყენებულ იქნა. ამ ჟამად დაათვალიერეს ბორანი დროებით ქალაქის ტეხნიკოსმა ბ-ნმა ბარტმა, ხუროთმოძღვარმა ახნაზაროვმა და მე-8 განყოფილების ბოქაულმა, რომელთაც სცნეს ბორანი ყოველ-მხრივ შეკეთებულადა და დართეს მუშაობის ნება.

✦ საზოგადოდ, ყველა იმათ, ვინც მონაწილეობას იღებს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამორჩევაში, ქალაქის გამგეობა აძლევს ბილეთს, რომელიც ნებას აძლევს კენჭის ყრისასა; ამისთანა ბილეთი დღევანდლამდე გამგეობას ჯერ მხოლოდ ერთისათვის მიუცია.

✦ იმ ყმაწვილ კაცთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად, რომელნიც წელს გაწვეულნი არიან ჯარში გასასვლელად ტფილისიდგან, დაინიშნა სამხედრო ექიმი ბ-ნი ლევი.

✦ როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში ამ ჟამად 29 თავისუფალი ადგილია.

✦ ამ ორი-სამის კვირის წინად საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რომ სოფლის სამკურნალოების შესანახი ფული უწეს-რიგოდ შემოაქვთ მცხოვრებთაო; კერძოდ მარტყოფის სამკურნალოს შესანახი ფული აქამდე 800 მ. შემოსულაო, როდესაც ანგარიშით 3,000 მ. უნდა შემოვიდესო; ამაზედ მაზრის უფროსმა შეატყობინა სამკურნალო გამგეობას, რომ ჯერ-ჯერობით ამ ფულის მოკრეფა შეუძლებელია, რადგანაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა სამუშაოდ არის გასული სოფელ გარედაო.

ჩვენებური ამბები

პანკისის-ხეობა (თიანეთის მაზრა). როგორც ამას წინათაც გვქონდა ნათქვამი, ჩოყოლის მცხოვრების ედიშერ დაქიშვილის ქალი 17 წლისა, რომელსაც შემთხვევით რევოლვერი გაუვარდა და მუცელში მოხვდა და რომლის ჭრილობაც ადგილობრივმა ექიმმა საშიშრად სცნო, ადგილობრივმა მღვდელმა მ. ალბუთაშვილმა მოარჩინა. საქმე ის არის, რომ მამა ალბუთაშვილს წყლულისა და ჭრილობების რჩენა-წამლობა ჩამომავლობით მოსდგამს. ეხლა ქალი სრულებით კარგად არის და ყველა საშინაო საქმეს აკეთებს, ხოლო ტყვია-კი ისევ მუცელში დარჩა ქალს.

—

წარსულ ივლისის 28 პირიქით-თუშეთიდამ დაბრუნდნენ მაზრის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი და სატყეო საქმის რევიზორი ი. ვ. ციროულნიკოვი, რომლებიც, როგორც ცალკე კომისია, იქ სატყეო საქმის მოსაწესრიგებლად იყვნენ წასულნი. საქმე ის არის, რომ ეს ორი წელია, რაც იქ ტყის ყარაულები შემოიღეს და ამის გამო შეუჩვევარმა თუშებმა ბევრი აურ-ზაური გამოიწვიეს. იქიდამვე ამბავი მოვიდა, ნაცოხრის საზოგადოების მამასახლისი იოსებ ჯამბრულაძე იქაურსავე თუშს ვიღაც თედო მქვაანს ხანჯლით მოუკლავსო. ამის შესამოწმებლად წავიდა ახმეტის ექიმი ბ. ჯავახიშვილი ამ თვის პირველს რიცხვებში.

—

ამ თვის 7-ს აქ ასტყდა საშინელი ქარიშხალი. სახლებისა და უფრო სკოლის კრამიტები მილეწ-მოლეწა ბევრგან, მუხები ძირიანად დაგლიჯა, მარტო ერთ ადგილას მოგლიჯა 25 მსხვილი კაკლის ხე. მას მოჰყვა სეტყვა და ზოგიერთგან ნამეტნავად სიმინდებს მხრები დაუფაცხავა. დაგლიჯა და ჭულინტი ტაროები დაუბეგვა. ამ თვის 12-ს აქ იყო საქონლის ექიმი (მგონია პრაქტიკანტი) და მთელი ხეობის საქონელი დაათვალიერა.

—

ავდრების გამო პური ყველამ ვერ გალეწა; ადგილისა და ძნების მიხედვით, გამოსავალი რიგიანია, ყანები ყველას უფრო პურის ჯიშისა ეთესა. ხორბალი ძლიერ წმინდა და მაძღარი გამოვიდა, გორგლა ნაკლებად ურევია; ჩარჩებმა პური სამ მანეთად განიხრეს კოდი, მაგრამ რა-კი სიმინდები კაი პირს არ იძლევიან, იქნება კიდევ დააძვირონ.

ქისტი ჩობანი.

—

ხევი. წინა წერილებში გწერდით, რომ სოფ. სტეფან-წმინდაში ძალიან იმატა ქურდობამ და ბოროტ-მოქმედებამ-მეთქი. ამ მოკლე ხანებში მოხდა აქ ჩვენისავე თანამემამულეების დახმარებით და ქისტების ხშირად მათ მიერ სახლებში სტუმრად მიღების გამო შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი:

1. გატეხეს გერგეტის წმინდა სამება და წაიღეს ჯარიხში ქისტებმა მისი წმინდანები.
2. გაძარცვეს ახალციხის ეკკლესია, (სნოზედ არის მიწერილი).
3. გატეხეს სტეფანა ახალაშვილის დუქანი და წაიღეს 500 მანეთის საქონელი.
4. გატეხეს მეორე ძმის ახალაშვილის სადგომი ეზო (ПОСТОЯЛЫЙ ДВОРЪ) და წაიღეს ერთი საპალნე სამოვგეები.
5. სამხედრო გზის მგზავრს მოსჭრეს რამდენჯერმე ბარგი.
6. მოჰპარეს ათ თუმნად ღირებული ცხენი ამ სტრიქონების დამწერს.
7. ამავე დამწერს (რად გვამხელს გაზეთშიო) გადაუგდეს თერგში შარაბანი, ღირებული 90 მანეთად.
8. გაუტეხეს იაგორა ღუდუშაურს ყაზბეგში დუქანი.
9. მიუცვივდნენ ღამე მასვე სახლში გასაძარცვავად და დასჭრეს ხელში.
10. გაუტეხეს მასვე დუქანი ხელმეორედ და უქადიდნენ მოკვლას.
11. გასტეხეს ჩაფრების სადგომი და მოიპარეს ორი სახელმწიფო ბერდანის თოფი და გადასცეს ქისტებში ამხანაგ ბოროტ-მომქმედებსა.
12. მოიპარეს ამავე სადგომიდგან უნაგირი ნ. ჩოფიკაშვილისა.
13. მოჰკლეს სიონის სავაჭრო დუქანში დახლიდარი ალექსა ავსაჯანიშვილი.
14. გიორგი გომიაშვილს მძინარეს დასცეს ხანჯალი გულში და სასიკვდილოდ დასჭრეს.
15. საღამოზედ, როცა ჯერ არა ბნელოდა, სოფლის მახლობლად ტყვიით გაუგმირეს გული გიორგი ალიბეგაშვილს, რომელიც მოწმად იყო ერთს ამ ბოროტებაში და მისგან შიში ჰქონდათ, ვაი თუ გამოგვაცხადოსო.
16. გარეკეს და გადასცეს ქისტებს ნიკოლოზ ხეთაგურისა სამი ცხენი.
17. საძოვრიდგან წაიყვანეს გიორგი ჯამარჯაშვილის ცხენი.
18. მოიპარეს ნანე შადურის ცხენი.
19. გაძარცვეს კუსიკა ხუციშვილი.
20. სახლიდგან გაიყვანეს საბრალო ხაიკაშვილის ცხენი, შეაბეს კარზედ ნადგომს ურემში და ქისტის სოფელში ბაზურკაზედ ურმიანათ გაუიდეს.
21. მოიპარეს საზოგადო-სამმართველოდგან მამასახლისის გიორგი ღუდუშაურის უნაგირი.
22. მოიპარეს ამავე საზოგადოების მწერლის აბრამა ჩოფიკაშვილის ძვირფასი ცხენი და შეაბეს ურემში და გაუიდეს ქისტებში*).
23. მოიპარეს რკინის ღერძიანი ძვირფასი ურემი ესტატე ღუდუშაურისა.
24. მოიპარეს ამავე ღუდუშაურის ორი ძროხა და გადარეკეს დაღზედ ქისტებში ჯარიხში.
25. მოიპარეს ამავე ღუდუშაურის ცხენი და გადასცეს ქისტებს.
26. მოიპარეს გიგოლა ალიბეგაშვილის ცხენი და ჯორი.
27. მოიპარეს მიხეილა გიგაურის სამი ცხენი.
28. მოიპარეს საძოვარ ხიდიდამ ტეტიკა მარსაგოშვილის ძვირფასი ცხენი (ზაოდის აჯილდა).
29. დაეცნენ მისივე ცხვრის ფარას გასაძარცვავად.
30. დასჭრეს ტყვიით მუხლში ტეტიკა მარსაგოშვილისვე მწყემსი საძოვარ ხიდში.
31. მიუხტნენ რევოლვერებით სვიმონა შადურს კარზედ მოსაკლავად.
32. მეორედ მიუხტნენ მასვე ღამით კარზედ და დაუმტვრიეს ფანჯრები და ბოროტ-მომქმედნი თუმცა აღმოაჩინეს, მაგრამ თავი რაღაც გაიძვერობით დაიღწიეს.
33. გასტეხეს სოფ. გერგეტში საწვრიმანო დუქანი და გამოფუტეს, თუ რამ ებადათ.
34. მოიპარეს გიორგი ფიცხელაურის ცხენი საძოვრიდგან.
35. დაიპარეს სვიმონა გიგაურის წისქვილები.
36. გადაუგდეს ხახზედ ამავე გიგაურს ცხენი.
37. შეუგდეს თერგში ილიკო ტოპაძეს ცხენი.
38. გაურეკეს ამავე ტოპაძეს სამი ცხენი საძოვრიდგან, რომელმაც შემდეგ 60 მანეთად გამოისყიდა უკანვე ავაზაკებისაგან.
39. მოჰკლეს სვიმონ გიგაურის ცხენი ხანჯლით სოფ. გორაცეხეს, ღირებული 120 მანეთად.
40. მოჰკლეს ხანჯლით ძროხა ხეთაგურისა.

მე აქ აღარ დავასახელებ იმ წვრილმან ქურდობას, რაც აქ ჩაუდენიათ ცხვრებისა, თივის და შეშის პარვით. საკვირველება ის იყო, რომ ამდენ ბოროტ-მოქმედებაში ყოველთვის სულ ერთისა და იმავე ავაზაკებს უნდა თავი და დამკარგავები და დაზიანებულები ყოველთვის იმათ ასახელებდნენ...

ამ თვის 2-ს, ღამე, ყველასაგან პატივცემული სვიმონ შიოს-ძე გიგაური ვახშმის შემდეგ სახლიდგან გამოსულა თავის ორის, საბლით ბალახ-ზედ დაბმულის, ცხენის დასახედავად, რომლებიც თერგთან ყაზბეგის რკინის ხიდს ძირს ება; მისულა, როგორც ხალხის აზრით და გამოძიებით სჩანს, და წასწყდომია იმ ქურდებს, რომელთაც ხელობად გაუხდათ ამ სოფელში ცხენის პარვა. საწყალს გიგაურს ტანზედ ხანჯლის მეტი არა ჰქონდა-რა, ავაზაკებს გულში რევოლ-

ფელეტონი

„პერეგზამენოვკა"

(სადღეისო ვარამი),

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტფილისშიაც საკმარისად აგრილდა. სოფლებიდგან ჩამოსული ხალხი სხვა-და-სხვა სასწავლებლებს მიაწყდა.

დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ერთ-ერთ ტფილისის სასწავლებლის ეზოში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი: დიდი, პატარა, მოსწავლე და მათი დედ-მამა ერთმანეთში არიან არეულნი და ერთი ჟრიამული გააქვთ. აი, საცაა უნდა გამოაცხადოს სასწავლებლის გამგემ, ვის გადაიყვანენ, ვის დაანარჩუნებენ და ვის დაითხოვენ სამუდამოდ სასწავლებლიდგან.

სხვებთან ერთად აგერ შავებში დათალხული ქვრივი თამარიც მოსჩანს. ფოფოდია თამარი სასწავლებლის ეზოს კუნჭულში გამწკრივებულ სკამზე ზის, თავისის ქალ-ვაჟით და გული ზღვას ერევა. თამარის სანდომიან სახეს, მის შავს თვალ-წარბს, დარდისაგან მინაზებულ ელფერს, შავი საბურავი, ჩიხტა-ბაღდადი უფრო აშვენებს.

ქვრივ-ფოფოდიას თამარს ნაღველი აწვება გულზე, ფიქრები შორს, წარსულისაკენ იტაცებენ. როდესაც ამას პატრონი ჰყავნდა, ფოფოდიას არ უხდებოდა შვილის მისაღებათ სასწავლებლის ეზოების ტკეპნა, მაგრამ აი ეხლა,—სასწავლებლის კარების ოდნავ დარახუნებაზედაც-კი იქითკენ დააშტერდება ხოლმე. ამ ორ-სამ წუთში გადაწყდება ამის ვაჟის სიკოს ბედი. თუ სიკო დარჩა, ხომ სასწავლებლიდგანაც სამუდამოდ დაითხოვენ, ერთსა და იმავე კლასში მეორედ დარჩომა ხომ არ იქნება?.. მერე საითღა წაიყვანოს?.. რომელ სასწავლებელში-ღა მიიღებენ?.. წლოვანობაც გადასული აქვს და აქ ნასწავლი საგნები, რომელ სასწავლებელში გამოადგება?.. უნდა წაიყვანოს სახლში და გული დაიჭლექოს ამის უხეიროთ ტარებით, როდესაც ამავე დროს ამისი მეზობლის შვილები სკოლაში ისწავლიან. ისინი სასწავლებელს გაათავებენ, დედმამას გაახარებენ, თამრომ-კი უნდა უყუროს უსწავლელ შვილს...

საწყალი მამა ანტონი რომ კვდებოდა, ანდერძად ის დაუტოვა თავის საყვარელ თამაროს: „ადამიანო, აი, მაგ ორ შვილს გიტოვებ, მაგათ უპატრონე, უსწავლელები არ დარჩნენ ამ ქვეყნადაო. სიკო ხომ დაბინავებულია სასწავლებელში, ხელის შეწყობის მეტი აღარა უნდა-რა. პელოს უპატრონე, ქალების სასწავლებელში მიაბარე თავის დროზე. ეხლანდელ დროში არც ქალი ვარგა უსწავლელიო". რა ჰქნას საწყალმა თამრომ? ბარემ არ უნდა მამა ანტონის ანდერძის გატეხა... ქმრის სიტყვების გახსენებაზე ფოფოდია თამარს ცრემლები მოადგება ხოლმე თვალებზე... მაგრამ რა ჰქნას, რა წყალს ეცეს? ეს ოთხი-ხუთი დღეა, რომელ ერთ ქალების სასწავლებლის კარები არ დაარახუნა, მაგრამ ყველადამ პირკატა-ნაცემი, უნუგეშოდ გამობრუნდა,—„რუსული ლაპარაკი უნდა იცოდეს შენმა ქალმა, ისე არავის არ ვიღებთო". თითონ რომ არ იცის თამრომ რუსული, პელოსათვის რა ესწავლებინა?!. მაშ ისევ შინ უნდა გააბრუნოს, უსწავლელი უნდა დარჩეს ქალი...

სიკო?.. აკი ამ ზაფხულს თამრომ კანზე უკანასკნელი კაბა არ შეინარჩუნა, გროშიგროშზე დააკოწიწა და მასწავლებელს აძლევდა: სიკო მომიმზადე, ორ საგანში „პერეგზემანოვკა" აქვს და სულსაც ამოვიხდი, შენ მოგცემ, ჭირი მოგჭამე, ოღონდ გადავიდეს, სასწავლებლიდამ არ გამომიგდონ, ცეცხლზე წყალი არ დამესხას, მეხი არ დამეცეს თავზეო! ამ ზაფხულში სიკოსაც ხომ კარგი არ უპახავს. სად იყო თავისებური თავისუფალი ხტუნვა, ტოლ-ამხანაგებში ტარება, სირბილი სიკოსათვის. ისე წამოვიდა ტფილისში, ერთხელ მადლიანად ვენახშიაც-კი ვერ ჩავიდა და ლეღვ-ყურძნით ვერ გაიბერა. მთელი ცისმარე დღე გასამეორებელ წიგნებს ჩასჩიჩინებდა. დედა თამარიც—ხომ არ უსვენებდა სიკოს: „შვილო, აგრემც თავს შემოგევლები, ისწავლე, გაიმეორე, არ შემარცხვინო, გადახვიდე, რომ არ გამოგაგდონო. მერე, უწინამც დღე გამქრობია და გამწყალებია, ბარემ ყელი გამომჭრა, რომ შენ დაგითხოვონ, საიდ-ღა წაგიყვანო? სადღა მიგიღებენ? არა, შვილო, ღმერთმა დაგიფაროს მაგ ხიფათისაგან! ისწავლე, ეხლა გაიჭირვე, ყველაფერი გაკლდეს, სამაგიეროდ, რომ გადახვალ, სოფლიდამ იმოტელა ლეღვ-ჩირებს, ჩურჩხელებს და ბროწეულს, ყურძენს გამოგიგზავნი, თავპირზე საყრელად გეყოს... ვერა ჰხედავ, შვილო, ჩვენს გაჭირვებას? ისწავლე, რომ სასახელო კაცი გამოხვიდე. მამაშენი სულ იმას ნატრობდა, ღმერთო, ერთი სიკოს ღვდლობას შემასწარიო! მაგრამ საწყალს არ აუსრულდა ნატვრა. ეხლა თუ ვიტანჯებით, გამოიზრდები, ღმერთი მოგვხედავს, ჩვენც ქვეყანაში გავერევითო".

აი, გუშინ დააჭერინეს სიკოს „პერეგზამენოვკა". სანამ სიკო გარეთ გამოვიდოდა და დედას ეტყოდა, მიუგო თუ არა რამე, თამროს მუხლები ეკეცებოდა, გული უფანცქალებდა. ამ დროს ეშხიან ქვრივ ფოფოდიასათვის რომ შეგეხედნათ, სამარიდგან ამოღებული გეგონებოდათ. თამარს მალი-მალ ხელი გულისაკენ მიჰქონდა, ერთ ადგილას ვერა ჩერდებოდა,—ოთახის კარებს მიუახლოვდებოდა თითის წვერებზედ, წყნარად, უჩუმრად, სულ-განაბული ყურს უგდებდა,—ასე ეგონა გავიგებ რასმეო, მაგრამ რა ხმაურობა გამოვიდოდა იქიდგან? გარდა ამისა თამრომ ინჩი რუსული არ იცოდა, რა უნდა შეეტყო ამისი სიკო როგორ მიუგებდა?.. მაგრამ ამას მოუთმენლობისაგან გული არ უსვენებდა, უჩქროლავდა, ბაგი-ბუგი გაჰქონდა. აგერ კარები გაიღო და სიკომ თავი გამოჰყო. „მითხარ, შვილო, ჩქარა, რა ჰქენ, როგორ მიუგე?"—მისწვდა ხელებში სიკოს თამარი ფერ-გამოღეული.

— მე რა ვიცი, როგორ მივუგე... ლუღლუღით წარმოსთქვა ძლივს სიკომ.

— უი, ნეტავი გამაქრო, შვილო, როგორ თუ არ იცი, როგორ მიუგე, როცა გკითხეს, იცოდი, თუ არა?.. ჩააცივდა სიკოს თამარი, რომლის პირის სახეზე სიწითლეს ვერ იპოვიდით, ისე გალურჯებულიყო ბოღმისაგან.

— ზოგი ვიცოდი, ზოგი არა!..—როდის, როდის ამოიღო ხმა სიკომ.

— როგორ, თუ ზოგი არ იცოდი, ძნელი ხომ არა გკითხეს, შვილო?..

— ძნელი მკითხეს, მარა!..—დარცხვენით, დაბლა თავ-ჩაკიდებულმა წარმოსთქვა სიკომ.

— უი, ნეტავი გამაწყალა,—მუხლებზედ ხელი დაირტყა თამრომ,—ეხლა ვის უნდა ვკითხო, რა „ბალს" დაგისვამენ?—და ამ სიტყვებით თამარი მასწავლებელს გამოედევნა, რომელიც ამ წუთს გარეთ გამოვიდა რაღაცა საქმისათვის.

— Что она хочетъ?.. იკითხა პროხორ ივანიჩმა.

— სიკო ქვრივიშვილი... ხმის კანკალით დაიწყო თამრომ,—შეგირდები გზა-გზა უთარგმნიდნენ თამარის სიტყვებს პროხორ ივანიჩს.

— Завтра, завтра... Она завтра все узнаетъ. ამ სიტყვებით პროხორ ივანიჩი ჩქარის ნაბიჯით მოშორდა ამათ.—ხვალამდის ვერაფერს შეიტყობთო, დედი!.. უთხრა თავის მხრივ სიკომ თავის დედას. წავიდეთ შინა და ხვალე ისევ მოვიდეთ, დედავ?..

— შვილო, ხვალემდის რა გულმა უნდა მოითმინოს! ლამის არის ადამიანი ჯავრისა და ბოღმისაგან შუაზე გავსქდე.—ეხლა მე შინ მომესვენება?!. ან ჩემს თვალს რა ძილი მოეკარება?.. ისევ ის არ მირჩევნია ხვალემდის აქ დავრჩე, აქ გავათენო ამაღამდელი ღამე? .

ოთხი საათი გადავიდა, ყველანი წავიდწამოვიდნენ, მაგრამ თამარი ორად მოკაკული, გულხელდაკრეფილი ისევ ოთახის კარებთან ატუზულა. სიკომ, შიმშილმა რომ შეაწუხა, შინისაკენ მოჰკურცხლა, დედა-კი იქ დასტოვა. მაგრამ თამარმა მაინც ვერაფერი შეიტყო. სანამ მოსამსახურემ ათასჯერ არ დაითხოვა, თამარი კარებს არ მოსცილდა.

— Симонъ Квривишвили увольняется, წაიკითხა, სხვათა შორის, გარკვევით და ხმა მაღლა მეორე დღეს სკოლის გამგემ...

— რაო, რაო?—ხელების კანკალით, ათრთოლებულის კილოთი წაებლაუჯა მთლად მიტკალივით გაფითრებული თამარი იქვე მდგომ, შეჯგუფებულ ხალხს.

— სიკო ქვრივიშვილი დაუთხოვნიათო, ვიღაცამ გადათარგმნა ქართულად.

— უი... ეს სიცოცხლეა!.. ერთი-კი შეჰკივლა გულ-გაპარულმა ქვრივმა თამრომ და იქვე საწყალს ტყაპა მოსძვრა ძირს.

— წყალი, წყალიო,—დაიძახეს აქეთ-იქიდამ და თამარს მისცვივდნენ მოსასულიერებლად.

ე. მ—შვილი.

დურგლიანთ ქორწილი.

მოთხრობა

III

(შემდეგი *)

ღვინობისთვე გასული იყო და ძალიან ციოდა. საღამომ მოატანა და ისედაც მოღრუბლული ცა უფრო მოიღრუბლა.

ჩვენი მაყრები დაუახლოვდნენ კავთის-ხევს.

— მოუჩქაროთ, თორემ ძალიან დაგვიბნელდება,—სთქვა ერთმა მაყარმა.

---

*) ჩვენში ურმით ქურდობა იმიტომ გაადვილდა, რომ გზის ყარაულები არსად ურმიანს ბილეთს არა სთხოვენ და თავისუფლად ივლის ქისტებამდის.

*) იხილე „ივერია" № 180.

ვერი დაურტყამთ და ისევ ცოცხალი თერგში ჩაუგდიათ. მოკვლა და წყალში გადაგდება იმ აზრით იყო, რომ ვაი თუ სამართალში მიგვცესო, რადგანაც ავაზაკები ამისვე ნაცნობი მეზობლები იყვნენ. გიგაურის გვამი ორი დღის შემდეგ იპოვნეს თერგში ყაზბეგიდგან ორის ვერსის მანძილზე ქვებში გაჭედილიყო.

განსვენებული ის სიმონა გიგაური იყო, რომლის შესახებაც ჩვენს ალექსანდრე ყაზბეგს ერთი ტომი თხზულებისა—„ნამწყემსარის მოგონება“—აქვს დაწერილი. ხევში პირველ მეცხვარედ და პირველ ოჯახიშვილად ითვლებოდა,—6000 სული ცხვარი დარჩა და ცხენის ჯოგი. ამასთანავე იყო გლეხ-კაცობაში შეძლების-და გვარად ხარით ცხენით თუ ფულით ხელის გამმართველი. იყო რამდენიმე წელი სოფლის მზრუნველად ამორჩეული სიკვდილის დღემდე, სადაც ეწინააღმდეგებოდა ბოროტ-მოქმედებსა და ამხილებდა მათ საქვეყნოდ. ამიტომაც გაიჩინა ყველა ბოროტ-მოქმედი მტრად.

ვინც ზემოთ დავასახელე, დამკარგავები ანუ სხვაფრივ დაზიანებულები, ყველანი ისეთნი არიან, ვინც სოფლის მოხელედ იყვნენ და ავაზაკებს ამხელდნენ ან მთავრობასთან აბეზღებდნენ ზოგი, ზოგი მოკაზეთე იყო, ზოგი მთარზე, ზოგი სოფელში ხმის მქონე და ხალხში გავლენიანი. ავაზაკებმა ესენი ყველა შესაფერად დასაჯეს: ზოგი ნივთიერად დააზარალეს და ზოგს სიკვდილი შეამთხვიეს. ასე, რომ ყველა აიანცეს, ყველას შიშის ზარი დასცეს, უსწავლელ მდაბიო ხალხში მართლის თქმა შიშით აღარავის გაებედვინეს, თავი მწირს ხალხს ისე მოაჩვენეს, რომ მათთვის აღარც ღმერთი, აღარც სინიდისი და აღარც მთავრობა იყო; პირში მხილველი არვინ უვნებელი არ გაუშვეს და ერთ-გზივ ვნებაც არ გვაკმარეს, არამედ მრავალ გზივ გვავნეს.

ამ ავაზაკების ბინა იყო ძველი ავაზაკების ნამყოფი სოფელი გვენეთი, რომელიც 1888 წელში მთავრობამ გადაასახლა ავკაცობისთვის. ეს სოფელი ქისტებისა იყო, რომლებიც სცხოვრობდნენ სტეფანელებთან მეზობლად. აქ დარჩა ინჟინერების თხოვნით ერთი კაცი, როგორც ყინულების კარგი მცოდნე და ყარაული. ამას დარჩა 6 ვაჟიშვილი, დაიზარდნენ და ისევ მამა-პაპეულს ხელობას დაუბრუნდნენ. ჩვენი ავაზაკები იპარვენ ცხენებს, ურმებს და აძლევენ ამ ავაზაკს ქისტებს. ამათ ინჟინერის ბილეთით მსწრაფლ მსროლ იარაღის ნებაც აქვთ და დაუბრკოლებლივ მიდიმოდიან ქისტებთან. ამ ქისტების სახლში ყველა საეჭვო კაცს აქვს ბინა თერგის ოლქიდამ მოსულს და ჩვენებურსავე ქურდს. აქ არის უმთავრესი სააგენტო ორივე მხრის ავაზაკებისა და ეს ქისტი აკრავს თერგის ოლქის საზღვარს ნაქურდალის გადასაცემ-გადმოსაცემად.

ჩემის აზრით და მრავალის მოხევის აზრით, ძალიან ადვილია ამ ყველა ბოროტების თავიდგან აცილება: 1. პირველად მთავრობამ უნდა შეიპყრას ის ქისტი, რომლის სახლში გველეთში არის ქურდების თავ-შესაფარი და გაგზავნოს ისე, როგორც ამ 15-ს წლის წინ მათი მეზობლები 50-დე კომლი გადაკარგა; 2) დააყენოს ორი შეიარაღებული ყარაული ქისტების გადმოსავალს ერთადერთს გზაზედ ხიდის წვერზედ (გ. ყაზბეგის მამულია) სამის თვით, ვიდრე ამ წვერზედ თოვლს დასდებს და ვიდრე გაშრება. 3) დააყენოს ზაფხულობით ორი ყარაული გველეთის ხიდზედ, სადაც სამხედრო გზაზედ გამვლელი თუ გამოვლელი ავაზაკი ამ ხიდს ვერ ასცდება.

თუ ეს სამი ღონისძიება მიღებული იქნა, სულ მთლად აღმოიფხვრება ჩვენში ქურდობა და ავაზაკობა. ნურავინ იფიქრებს, რომ ამ ორ გზას გარდა აქ ავი კაცი საიდგანმე ან მოგვივიდეს და ან წაგვივიდეს. რადგანაც მთის წვერები ისეთი კლდოვანი და თოვლიანი არის, რომ ორბის და შავი ყორნის მეტი ვერავინ მიეკარება, ჩვენ-კი მოხევეებს, როგორც მაგარი გალავანი შემოვლებული გვაქვს გარშემო ეს სიმაგრე და მაშასადამე ჩვენი ქურდები ვერსად დაგვემალებიან.

ამ თვის დამდეგს დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწე გ. ჭონქაძე, ქვეშეთის ბოქაული ანტონოვი აქ ყაზბეგში იყვნენ. ქვემო-ხევის საზოგადოება შეიყარა და აუხსნა დაწვრილებით, ვისაც რა დამართეს და ვისგანაც ეს ავკაცობა ხდებოდა.. ურიადნიკმა რვა კაცი დაასახელა და მათ მიერ ჩადენილი ბოროტებანი ჩამოთვალა. რვაში ერთი იმ ქისტთაგანი იყო, ვისაც სახლშიც თავს იფარავენ ორივე მხრის ავაზაკნი. სახელდობრ: 1. გრიგოლა ეგვიაშვილი წიკლაური, 2. სიმონა შავხალაშვილი ფიცხელაური 3. მიხელა ეფხოშვილი და 4. აბზი ცოგოლასშვილი ბეზურთანოვი (ქისტი) ოთხივენი ურიადნიკმა ერთის პირით გადასწყვიტა, რომ აქედგან გაედევნათ. დასახელებულ ავაზაკებს სამწუხროდ ის დარჩათ, რომ ექვსი კაციც რომ მოგვეკლა ამ ხალხშიო, მერე სადაც უნდა გაგვგზავნეთ, არას ვინაღვლიდითო. დანარჩენი ოთხი-კი ჯერ ხანად აქვე არის და ხალხი და მთავრობა თვალს ადევნებს მათს ყოფა-ქცევასა. თუ ხასიათს არ გაისწორებენ, ისინიც, როგორც შენიშნულნი, ჩქარა გაუმგზავრებიან. მუქარას ესენი და მათი ნათესავები უთვლიან იმათ, რომელთაც ამ განსაძევებელს განაჩენში მონაწილეობა მიუღიათ.

ყველგან აკრძალულია ყოველ ნაირს ნადირზედ უმოწმობოდ ნადირობა, აქ-კი სატოდავი ჯიხვები შეუწყალებლად იღუპებიან ამ თავ გასულ ქისტებისაგან, რომელნიც დროის განურჩევლად ნადირობენ.

კალმის-წვერა.

რ უ ს ე თ ი

უკვე დამტკიცდა პროექტი მომავალ 1903 წ. პეტერბურგში საერთაშორისო საელექტრონო გამოფენის გამართვისა. გამოფენის გეგმა უკვე შემუშავებულია და კომიტეტი ახლო მომავალში შეუდგება მოქმედებას.

— ადესის სამხედრო ოლქის ბრძანებაში (**приказъ**) დაბეჭდილია შემდეგი:

„როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, კაპიტანს NN მართლა უცემია თავის მოსამსახურისათვის (დენშჩიკისათვის). არ ეკადრება და არ შეჰფერის მამა-კამანდირს თავის ხელ-ქვეითთა ცემა-ტყეპა; ამიტომაც სრულიად სამართლიანად ჩამოერთვა ხსენებულს კაპიტანს როტის უფროსობა, მაგრამ, რადგან მისმა უმახლობელესმა მთავრობამ და ქერჩის ციხის უფროსმა, ერთის მხრივ, მეტად კარგი აზრი გამოსთქვეს ამ აფიცრის სამსახურის შესახებ, და, მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ მოსამსახურესაც თავის უდიერობით გაებრაზებია კაპიტანი—მივუსაჯე, ზემოხსენებულ სასჯელის მაგივრად, 20 დღით ჰაუპტვახტში დაპატიმრება.

რადგან,მიუხედავად სასტიკის განკარგულებისა,ჩემდა რწმუნებულს სამხედრო ოლქში კიდევ ხშირად ხდება ხოლმე ჯარის-კაცების ცემა-ტყეპა, ამისათვის კიდევ მოვაგონებ უახლობელეს მთავრობას, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და გაფაციცებით ადევნონ თვალ-ყური, რომ ამიერიდგან აღმოიფხვრას ჯარში ეს საზიზღარი ჩვეულება. დროებით მთავარ-სარდალი ადესის სამხედრო ოლქისა ბარონ კაულბახი“.

უ ც ხ ო ე თ ი

საფრანგეთი. ყოფილი მინისტრი და პალატის ვიცე-პრეზიდენტი რადიკალი მეზიურერი, რომელიც უკანასკნელ არჩევნებზედ გაშავებულ იქმნა (მის მაგიერ აირჩიეს ნაციონალისტი სიველტონი), დაინიშნა საზოგადო მზრუნველობის დირექტორად პარიჟში გარდაცვალებულ მურიეს მაგივრად.

ინგლისი. ოქტომბრის 25-ს კიტჩენერი გაემგზავრება ინდოეთს, სადაც იგი დაინიშნა ინგლისის მხედრობის მთავარ-სარდლად. ნოემბრის 15-ს მივა ბომბეას და იქიდგან გასწევს პირდაპირ დელის, სადაც მას დაუხვდება 200,000 ჯარის-კაცი.

— კანადის პრემიერს ლორიეს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს გამართული პარიჟში საფრანგეთთან სადამოქნო შეთანხმების შესახებ.

გაზეთ „Journal“-ის სიტყვით, კანადა თითქმის ისეთსავე პირობებს უდებს საფრანგეთს, როგორიც ინგლისთან აქვსო: მაგ., საფრანგეთიდგან შემოტანილი საქონლის ტარიფს 15%-ს უკლებს, მაგრამ სამაგიეროდ საფრანგეთის მთავრობამ მინიმალური ტარიფი უნდა დააწესოს კანადის ნაწარმოებზედაც. მხოლოდ ეს შეთანხმება ვერც ერთს მათგანს ვერ მისცემს დიდს სარგებლობას, თუ როგორმე გემების მიმოსვლის საქმე არ გაუმჯობესდა. ამისათვის გადაუწყვეტიათ ყოველ წლიურად 300,000 ფრანკი აძლიონ თითო მათგანმა იმ სანაოსნო საზოგადოებას, რომელიც თავს იდებს კანადას და საფრანგეთს შორის გემების მუდმივი და სწრაფი მიმოსვლა გააჩაღოსო.

ეს ამბავი დიდად არაფრად ეპიტნავებათ ბრიტანიის იმპერიალისტებს, რომელნიც ახალშენთა სადამოქნო კავშირზედ ოცნებობდნენ.

— ამას წინად ინგლისის სააგენტომ გაავრცელა ადენიდგან მოსული ხმები, ვითომც ინგლისის რაზმი პოლკოვნიკ სვეინის უფროსობით მარჯვედ მოქმედობს წინააღმდეგ მაჰდი სომალილანდისაო, რომელსაც მეტ სახელად ინგლისელები „გიჟ მოლლას“ ეძახიან; მაგრამ გაზეთ „Djibouti“-ს ზეილის ადგილობრივ მკვიდრთაგან მიუღია ცნობები, რომ სვეინის რაზმი დიდს გაჭირვებაში იმყოფებაო. მთელი ნახირი და სურსათი „გიჟმა მოლამ“ დახვეტა და გაიტაცაო, რამაც ინგლისის რაზმი ულუკმა-პუროდ დასტოვაო; ეხლა იგინი იძულებულნი არიან დაარბიონ და გაცარცვონ საბრალო სომალიის თემები, რომელთაც მიიწვიეს ინგლისის ჯარი „გიჟ მოლლის“ წინააღმდეგაო.

საბრალო ხალხი გინდ მგელს შეუჭამია, გინდ მგლის ფერს ძაღლსა!..

ჰოლანდია. პრეზიდენტი კრიუგერი ახლო მომავალში გამოსცემს თავის „მოგონებათა“, რომელსაც ევროპა'ში ყოფნის დროს იგი უკარნახებდა ორს თავისს მდივანს. ამ წიგნის გამოსაცემად მიიწვიეს უტრეხტს გაზეთ „Burenfreund“-ის რედაქტორი. მრავალმა საუკეთესო გამომცემთაგანმა განაცხადა სურვილი ამ წიგნის გამოცემისა და დიდ-ძალ ფულსაც ჰპირდებოდნენ პატრონს; ამერიკელი ფირმები ყველაზედ უფრო იყვნენ მოწადინებულნი ამ თხზულების გამოცემას, მაგრამ ყველამ უარი მიიღო.

მიუნხენის გაზეთების სიტყვით, ამ წიგნის გამოცემის ნება-რთვა ლემანის ამხანაგობას აუღია; წიგნი უნდა გამოვიდეს ნოემბერში ყველა ევროპიულს ენებზედ ერთს დროს.

ოსმალეთი. გაზეთს „Information“-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან, ოსმალეთის ხაზინა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშიაო. ოსმალეთის საზღვარ-გარედ მყოფ მოხელეებს რამდენიმე თვის განმავლობაში არ მიუღიათ ჯამაგირი და დიდს გაჭირვებაში არიანო. მადრიდში მყოფი ოსმალეთის ელჩი წერილს წერილზედა ჰგზავნის, დამანებეთ ჩემი ჯამაგირიო; მაგრამ მის ხვეწნა-მუდარას პასუხიც არ ღირსეს. საბრალო ელჩს მეტი რაღა გზა ჰქონდა, აიღო და დეპეშით აცნობა მთავრობას, სამსახურიდგან განმათავისუფლეთო. ხონთქარმა, რომელმაც მანამდე ყური არ ათხოვა მის თხოვნას, ფიცხელი განკარგულება მოახდინა, ელჩს დაუყოვნებლად მიაწოდეთ ჯამაგირიო, რადგან შეეშინდა, რომ საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება, თუ ეს ამბავი გამჟღავნდაო. სხვა ელჩებს, რომელთაც ჯერ არ მიუბაძნიათ თავის მადრიდელ ამხანაგის მაგალითისათვის, დღესაც არ მიუღიათ რამდენისამე თვის ჯამაგირი და არ იციან, რა საშუალებას მიჰმართონ.

შუა-ამერიკა. რადგან ვენეცუელას რესპუბლიკაში რევოლიუციონური არეულობა ასე გამწვავდა, „Kölnische Ztg“.-ი ურჩევს დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც სავაჭრო, ან სხვა რაიმე საფინანსო დამოკიდებულება აქვთ ამ რესპუბლიკასთან, ჩაერიონ საქმეში და როგორმე აღადგინონ მშვიდობიანობა. ასეთ სახელმწიფოებად გაზეთს გერმანია, საფრანგეთი და შეერთებული შტატები მიაჩნია.

გამოთქმულია აგრეთვე სურვილი, რომ შესდგეს საფინანსო კომისია, რომელშიაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ექვსმა კაცმა: სამი იქმნება ვენეცუელას მხრივ და სამიც—ზემოხსენებულ სახელმწიფოებისაგან. მათ უნდა ადევნონ თვალ-ყური რესპუბლიკის შემოსავალ-გასავალს, გადასახადის გაწერას, ბაჟის აღებას და სხ. საფინანსო საქმეებსაო.

გაზეთი ჰგონებს, რომ მეამბოხეთა ბელადი გენერალი მათოსიც დაჰყაბულდება ამ აზრსაო.

თეატრი და ხელოვნება

დ. არაყიშვილის მოგზაურობა. ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველს ზოგი ერთი ცნობა ბ-ნ არაყიშვილის მოგზაურობაზედ იმერეთსა, კახეთსა და ხევსურეთში ქართულის სიმღერებისა და ჰანგების შესაკრებად. დავსძენთ აქ ზოგს ახალს ცნობასაც, როგორც ბ-ნ არაყიშვილის ვინაობისა, ისე მის უკანასკნელ მოგზაურობის შესახებ.

ბ-ნი დიმიტრი არაყიშვილი მოზდოკელი ქართველია, შვილი ღარიბის დედ-მამისა, რომელთაც ხელმოკლეობის გამო ვერ შეასრულებინეს თავიანთ შვილს დაბალ სასწავლებლის კურსიც და მიაბარეს ერთს ვაჭარს შაგირდად. ვაჭრობის სწავლაში ნორჩმა დიმიტრიმ დაჰყო ექვსი წელი, მაგრამ ვერ შეითვისა ეს მეცნიერება და თითონ გაიკვლია თავისი გზა, საითაც იწვევდა მისი მუსიკის სიყვარული. დიდის გაჭირვებითა და ვაინაჩრობით მიაღწია მოსკოვს და აქ შევიდა ფილჰარმონიის საზოგადოების სამუსიკო და სადრამო სასწავლებელში; აქაც დაჰყო კვლავ ექვსი წელი იმავე გაჭირვებასა და უპოვარობაში,—თუმცა ახლა-კი სწავლა სასურველი იყო,—სანამ ბ-ნმა დ. ზ. სარაჯიშვილმა მისცა სტიპენდია და დაასრულებინა კურსი.

შარშან, სასწავლებლის კურსის დასრულებისათანავე, საეთნოგრაფიო განყოფილებამ მოსკოვის ბუნების-მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებისამ გამოგზავნა ბ-ნი დ. არაყიშვილი ქართლ-კახეთში ქართულის სიმღერების შესაკრებად. წარსულ ზამთარს ბ-ნმა დ. არაყიშვილმა წაიკითხა საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზედ თავისი მოხსენება „ქართლ-კახეთის სახალხო მუსიკა და მისი ევოლუცია“, რომელზედაც ჩვენ თავის დროზედ გვქონდა დაბეჭდილი წერილი და ამას გარდა მიიღო მონაწილეობა ხსენებულ საზოგადოების საეთნოგრაფიო კონცერტებში, სადაც ჰმართავდა ქართულსა და კავკასიურს ნაწილებს. ქართულ სახალხო მუსიკაზედ ბ-ნს არაყიშვილს უწერია „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“ და „**Русская музыкальная газета**“-ში; ხოლო მუსიკალური ნაწარმოები მისი შესდგება ჯერ-ჯერობით ექვსის ქართულის რომანსისაგან, რომელთაგან ოთხი იბეჭდება ტფილისში და მალე გამოვა საქვეყნოდ.

წრეულსაც მოსკოვის საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გამოგზავნა ბ-ნი დ. არაყიშვილი

— მგონი წვიმაც მოგვისწრებს გზაში,—უპასუხა მეორემ.

— წვიმას-კი არა უშავს-რა, მაგრამ უდროოდ მისვლა-კი სირცხვილია, ლოდინს დაიწყებენ.

— გველოდნენ, არა უშავს-რა. ხომ გაგიგონიათ: რაც რომ ძვირია, უფრო ტკბილიაო.

-— მაინც დიდხანს მოუხდებათ ლოდინი.

— მა რა, რო აღარ დაიძარით სუფრიდგან, რა გეგონათ?

— შენ ვიღას ეუბნები, რომ გაგიტკბა ღვინო და ადგომას აღარც-კი ფიქრობდი?

ამ ლაპარაკით მიატანეს კავთის-ხევს.

წვიმა წამოვიდა და ისედაც ტალახიანი გზა უფრო აატალახა; ამასთან სიცივემ მოუმატა, მაგრამ ჩვენი მაყრები მაინც ხვითქ-გადადენილი მიერეკებოდნენ ტალახში ჯაგლაგ ცხენებსა.

გზაზედ ვიღაც ცხენოსანი გამოჩნდა.

— აგერ, კავთის-ხევიდგან ვიღაც მოდის ცხენითა,—სთქვა ერთმა მაყარმა.

— მგონი ღვდელია,—უპასუხა მეორემ.

— ალბად ვისმე ქორწილში თუ ყოფილა და იქიდგან მოდის.

— სწორედ აგრე უნდა იყოს.

— ტიკს პირი მოხსენით, მაგას უნდა ღვინო დავალევინოთ,—დაიძახა სამეფოს ძმა გიგამ.

ამასობაში ღვდელმაც მოატანა.

— გაკურთხოთ, შვილებო, მოგვცა სალამი მღვდელმა,—საიდამ მოდიხართ?

— დაგვლოცე, მამაო,—უთხრეს მაყრებმა და მიაწოდეს ჯამით ღვინო.—ახალციხელები ვართ, ნიჩბისიდამ უნდა ქალი წამოვიყვანოთ.

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ, გაგიბედნიეროთ სამეფო და სადედოფლო, ჩემი ყოველ წირვა-ლოცვის მადლი შეგეწიოთ, სთქვა მღვდელმა და ჩამოართვა სავსე ჯამი.

მღვდელს ხელები სიცივით დაბუხული ჰქონდა და ამიტომ ჯამიდამ ღვინო ექცეოდა.

— ღვინოს ნუ აქცევ, მამაო,—უთხრა ერთმა მაყარმა.

— ეჰ, შვილო, სიბერე ძნელი ყოფილა, მოვხუცდი და ხელები მიკანკალებს.

— ღვინო გარგებს და გაგათბობს კიდეცა, მგონი გცივა.

— მართალია, შვილო, ცივა კიდეცა, სთქვა მღვდელმა და დაცალა ჯამი.

— აბა, ახლა ჩემი ღვინისა მიირთვით—სთქვა ღვინისაგან ცოტა შეხურებულმა მღვდელმა და გადმოხტა ცხენიდამ.

მაყრებმა უარი არა სთქვეს.

ტიკჭორას პირი მაგრა ჰქონდა მოკრული და ამიტომ მღვდელი დაბუხულის ხელებით ვერა ხსნიდა.

— დანით გასჭერი ბაწარი, დანითა, აჰა დანა,—ეუბნებოდნენ მოუთმენლობით მაყრები და აძლევდნენ დანასა.

— რას აწვალებთ მაგ მღვდელსა, გვიანდება, მეორეც ესა, არ გეჭირვებათ, ვუთხარ მე გიგას გულ-მოსულმა.

— არა უშავს-რა,—მიპასუხა გიგამ.—ადათი ესეთი გვაქვს, რომ უარს ვერ ვეტყვით ქართველები, როცა ღვინოზე გვეპატიჟებიან.

ამასობაში მღვდელმა კიდეც მოხსნა ტიკჭორას პირი და ჩამოასხა ღვინო.

— მიირთვით, შვილებო, კაი სასმელი მაჭარია,—სთქვა მღვდელმა და ჩამოარიგა ჯამი.

მაყრებმა დაუწყეს სმა.

— უჰ, რა კარგისა ყოფილა მართლაც! სთქვეს მოწონებით მაყრებმა და გააწკლაპუნეს პირი.

მე ღვინოს არა ვსვამდი და ამიტომ უარი ვსთქვი.

ათი ჯამი რომ ჩამოარიგა მღვდელმა, ტიკჭორა დაიცალა და ამიტომ ჩემს გარდა მეთერთმეტე მაყარს მღვდლის ღვინისა არ ერგო.

— უჰ, რა დროს დაიცალა ეგ ოხერი ეგა! სთქვა დაღონებულმა უწილოდ დარჩენილმა მაყარმა.

— რაღა, როცა ჩემი დრო მოვიდა, მაშინ დაიცალა, ახ იღბალი არა მაქ, ეს ოხერი ესა, ეჰ...

— არა უშავს-რა, შენ ჩვენი ღვინიდამ დალიე სამაგიერო,—ანუგეშა გიგამ.

— ეჰ, ღვდლის მაჭარი-კი ამცდა და რაღა დავლიო,—სთქვა დაღონებით მაყარმა და თან ტიკს პირი მოხსნა.

— რო ყველაფერში უხეირო ხარ,—დასცინოდნენ ამხანაგები გულ-ნაკლულ მაყარსა.

— რა ვიცოდი, თუ ის ოხერი ისე მალე დაიცლებოდა, მართლულობდა თავს უწილო მაყარი უწყალო ამხანაგებთან.

მღვდელმა დაგვლოცა კიდევა და გამოგვემშვიდობა.

— ბიჭოს, დახე რა მიყვეს, სულ არ გამომიცალეს ერთ ჯამ ღვინოში ე ტიკჭორა, სთქვა მღვდელმა და გასწია.

— აბა, ჩვენც გავაჭენოთ ცხენები, დაიძახეს მაყრებმა და შემოსძახეს მაყრული.

პატარა ხანს უკან შევედით კავთის-ხევში და შეუერთდა ჩვენის მაყრების ხმა კავთისხეველ მექორწილეთა მაყრების სიმღერას.

— მეფიაანთ გაუმარჯოთ, მეფიაანთა!—მისცეს სალამი ჩვენმა მაყრებმა კავთისხეველ მექორწილეთა.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ. გვეწვიეთ, მეფე-დედოფლის სადღეგრძელო მიირთვით. —მიიპატიჟეს ჩვენი მაყრები კავთისხეველებმა, რომელთაც ქორწილს შემდეგ გამოეტანათ ტიკით ღვინო გზის ნაპირად კალოზე, დაედგათ ერთ ღერძ გატეხილს ურემზედ და ასმევდნენ გამვლელ-გამომვლელს მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს.

ჩვენი მაყრები დაუზარებლივ ეწვივნენ და იმათაც ამ სიცივეში მოაგებეს ჯამებით ცივი ღვინო. რა-კი გადაჰკრეს ცხენ-და-ცხენ, გავწიეთ კვლავ.

სოფლის ქალ-რძლები, მოჰკრეს თუ არა ყური ჩვენს მაყრულსა, გამოცვივდნენ სახლებიდგან და დაგვიწყეს შინჯვა და ყურება.

— სამეფო აის არის, ქა, რა პატარაა!—დაიძახა ერთმა პატარძალმა და მოიშვირა თითი ჩემზე, რა-კი პიჯაკი მეცვა, თუმცა-კი ძველი, თითქო ნამდვილად დარწმუნებულიაო.

— ეს თქვენი სამეფოა, თქვენი,—შესძახა ბარნომ, რომელმაც გაიგონა ეს სიტყვები და არ მოეწონა, რომ სხვა ჩასთვალეს მეფედ, ისიც ნათლია.

— უი ჩემ თვალებსაო!—დაიყვირეს ქალებმა და შეცვივდნენ შინ გულ-გახეთქილები, თითქო ეს არის გამოგვიდგებიან უკანაო.

ჩვენ გავცდით კავთის-ხევსა და გავაჭენეთ ცხენები. შემოჰკრა ბინდმა და წვიმამაც მოუმატა.

უცებ მოისმა უკანიდგან მდევარის ხმა.

— მოიცადეთ!—ჰყვირიან ისინი.

— ვინ არიან?—აძლევენ პასუხს ჩვენები.

— დადექით და გაჩვენებთ თქვენ ყოფას, ვინცა ვართ.

დავაყენეთ ცხენები და მოვიდნენ ისინიცა. ყველანი გულდანდობილნი ვიყავით და არავითარს დანაშაულს არა ვგრძნობდით.

— თქვენ როგორ გაბედეთ და აკადრეთ ჩვენ ქალებს ცუდი სიტყვები?!—შესძახეს მდევართა და გამოქანდნენ კეტებითა.

ის იყო, უნდა მოჰხვედროდა გელიტაანთ მიხას თავში მდევრის მოქნეული კეტი, რომ მიხამ უცებ გადაახტუნა განზე ცხენი და სთხლიშა შუბლში მდევარს სახრე. ნუ დაივიწყებთ, რომ სოფლელები წკეპლისა და მათრახის მაგიერ ცხენზე კეტსაცა ჰხმარობენ, არამც თუ სახრეს.

მდევარი წაიქცა და დანარჩენებმა მოკურცხლეს შეშინებულებმა.

რაკი მოვიშორეთ მდევარი თავიდამ, ჩვენს გზას გავუდექით.

— რა ცუდი სიტყვაო? რას ამობდნენ?—იკითხა ერთმა მაყარმა.

— რა ვიცი, ბარნოს დაუძახნია ნათლიისა, რომ თქვენი სამეფოაო.

— ვისთვინ დაუძახნია?

— იმათი ქალებისთვინა.

— მერე მაგ უბრალოზე დაგვედევნენ?

— დაგვედევნენ და ვერ წაიღეს კაი ამბავი?—სთქვა თავ-მოწონებით მიხამ.

— ხომ არ მოკვდა, კაცო, ფინთათ-კი მოსცხე მგონია.

— კი არ მომკვდარა, მე დავინახე, რომ ისევ წამოხტა, მაგრამ შუბლი-კი ძალიან გაუტყდა.

— ახია! რა მოარბევინებდა, ქალების სიტყვებს რომ ასდევდა-რა, რა ეგონა იმას?

ამასობაში ძალიან დაბნელდა და ჩვენ-კი ათი ვერსი გზა გვქონდა კიდევ გასავლელი. უცებ ერთმა მაყარმა დაიძახა, თითქო უცებ მოაგონდაო.

— პატარა შევნაყრდეთ; ეე,—დავიღალე და მომშივდა კიდეც.

— შევნაყრდეთ, შევნაყრდეთ,—გაიმეორეს სხვებმაცა და გადმოხტნენ ცხენებიდგან.

— რა დროს შენაყრებაა ერთი, თუ ღმერთი ვრწამთ, ამ ავდარსა და სიცივეში.—შევყვირე მე გაჯავრებულმა.—ერთი მივიდეთ და, მერე, რაც გინდათ, ისა ჰქენით.

— მერე უფრო კარგათ ვივლით ნათლი, რაკი შევხურდებით,—დამამშვიდეს ამითი და მოხსნეს ტიკს პირი. რაკი გამოსცალეს საგზაო ღვინო, მოახტნენ ისევ ცხენებს.

— აბა ახლა-კი გავაჭენოთ,—სთქვეს და გაუშვეს ცხენები.

დაბნელდა ისე, რომ ერთმანეთს თვალით ველარა ვხედავდით.

ჩემი ცხენი ხან სად წაიფორხილებდა ტალახში და ხან სადა.

— შორს არის კიდევა?—ვკითხავდი გიგას წამ და უწუმ მოუთმენლობით.

— აღარ არის შორსა,—მანუგეშებდა ყო-

საქართველოში ჩვენის სიმღერებისა და ჰანგების შესაკრებად, და რაც მის მოგზაურობაზედ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, საჭიროდ ვრაცხთ შევავსოთ მცირეოდენის შენიშვნით ქართლში მოგზაურობის შესახებ.

წინამძღვრიანთ კარის სასწავლებლის ინსპექტორის ბ-ნ ხუნდაძის დახმარებით ბ-ნმა დ. არაყიშვილმა ჩასწერა ოცდაშვიდი სიმღერა. ამათგან ზოგიერთი სიმღერა უკვე ცნობილია და გადაღებული ნოტებზედ, თუმცა ცოტათი გადასხვაფერებით, როგორც, მაგალითად, „მურმან, მურმან, შენსა მზესა“, რომელსაც ხალხი ცოტა სხვაფრივ მღერის, ვინემც ჩვენნი მომღერალნი გუნდნი. ამას გარდა, ბ-ნს არაყიშვილს უნდა ჩაეწერა ხვედურეთში ქალების სიმღერები, რომელთა ჩაწერა შარშანდელ მოგზაურობის დროს ვერ მოასწრო. მაგრამ როდესაც საქმე ჩაწერაზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ ქალები თითქმის ყველა სიმღერებს „იავნანის“ კილოზედ მღერიან.

წრევანდელ მოგზაურობაში ჩვენმა სწავლულმა მემუსიკემ შეჰკრიბა ოთხმოც-და-ათზედ მეტი ქართული სიმღერა, გარდა სამუსიკო ჰანგებისა.

სიმღერების შეკრების გარდა, ბ-ნი არაყიშვილი დიდის გულმოდგინებით ყიდულობდა ქართულს სამუსიკო საკრავებს და, სადაც არ შეეძლო, ფოტოგრაფიულ სურათებს იღებდა ძველებურ და ძნელად საპოვნელ საკრავებისას. ამ საკრავებს ბ-ნი არაყიშვილი აგროვებს სამუსიკო მუზეუმისათვის, რომელიც მისის თხოვნისამებრ არსდება წერა-კითხვის საზოგადოების საარქეოლოგო მუზეუმთან.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ჩვენის ნიჭიერის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალებამ გამოიწვია ჩემში დიდად აღმაშფოთებელი მწუხარების გრძნობა. ნიჭიერის მწერლის ჩვენ შორის გამოკლება, მიმაჩნია რა ჩვენ საერთო სამემკვიდრო დასაკლისად, ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით გამოვუცხადო ჩემი გულითადი მწუხარება, თანაგრძნობა და გლოვით მოსილი სამძიმარი გარდაცვალებულის დრამატურგის მეუღლეს ჩვენის სცენის დამამშვენებელს მსახიობს, ქ-ნს ნატალია გაბუნიას ასულს.

ღმერთი იყოს შემწე და მიმნიჭებელი ამ ნიჭიერის მანდილოსანისადმი ამ მძიმე მწუხარების ჟამს ნუგეშისა, სულიერის სიმხნევისა და მოთმინებისა.

ქაიხოსრო გელოვანი.

„ივერიის“ ფოსტა:

ბათომს, ბ-ნს ჯ. ჭ—ს, „შეყვარებულთა შედეგი“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 აგვისტო

პეტერბურგი. დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოეს შვილებით წაბრძანდა აი-ტოდორს, დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მამულს.

ვარშავა. „ვარშავის დღიურს“ დეპეშით აუწყებენ პოზნანიდგან, რომ საგანგებო მატარებლის გავლის დროს მიწვეულ სტუმრებით სადგურებზედ უხვდებოდნენ გენერალ-ადიუტანტს ჩერტკოვს მაზრის უფროსები, ტორნში—საზღვრის კომისარი. გერმანიის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი მიესალმა ჩერტკოვს მათის უდიდებულესობისაგან. პეტერბურგის და ნარვის დრაგუნის პოლკების ოფიცრებს ეგებებოდნენ გერმანიის ოფიცერთა დეპუტაციები. გუშინ მოხდა პარადი, რომელიც წარმოადგენდა დიდებულს სანახავს. იმპერატორი ვილგელმი ესაუბრებოდა გენერალს ჩერტკოვს, ხელი ჩამოართვა რუსის ყველა ოფიცრებს, თვითოეულს გამოელაპარაკა და ყველანი წარუდგინა გერმანიის იმპერატრიცას. საღამოს 6 საათზედ იმპერატორს ჰქონდა საგანგებო მიღება რუსის ოფიცრებისა. 7 საათზედ ქალაქმა მიიწვია სადილად.

კურსკი. ყოველ დღე მოდის ახალ-ახალი ჯარი მანევრებზედ დასასწრებლად. ქალაქი აჩქარებული ემზადება დიდის სტუმრის მისაღებად.

ნიუ-იორკი. რუზველტის ეტლისა და ვაგონის დაჯახების დროს მეეტლე გადავარდა 25-ს ნაბიჯზედ და მძიმედ დაშავდა. პრეზიდენტი მოჰყვა ეტლის ნამსხვრევს-ქვეშ და დაუყოვნებლივ დაუხმარებლად გამოვიდა. პრეზიდენტსა და მისს კერძო მდივანს კორტელიუს პირისახე დაეკაწრათ. პრეზიდენტს აღელვება არ დაეტყო და მწუხარება გამოაცხადა საიდუმლო პოლიციის აგენტის სიკვდილის გამო. პრეზიდენტი და მისნი თანამგზავრნი შევიდნენ მახლობელს სახლში, გზის გაგრძობა აღარ ინდომეს და წავიდნენ ბრიჯპორტში, საიდგანაც გემით მივიდნენ ოუსტერბეის.

ზაგრები. როგორც ხმა ისმის, გლეხკაცებმა არეულობა მოახდინეს წუხელის. ასეთივე მღელვარება იყო ქალაქებს კარლშტადტსა, ვინკოვიცას, ოგოლინს, გოსპიცს და ცარიცაში. გუშინდელ არეულობის დროს დაიჭირა 29 კაცი. მღელვარება, საგონებელია, მომზადებული იყო, რადგანაც ზოგს ჯგუფს აღმოაჩნდა სახელდობრივი სია შენობებისა, რომელიც სერბებს ეკუთვნიან. სერბიელ ვაჭრებს ბოიკოტს უწევენ; სერბები, რომელნიც ხორვატელების მაღაზიებში მსახურობდნენ, დათხოვნილ იქმნენ.

უმეტესი ნაწილი სერბთა სავაჭრო სახლებისა დახურულია.

ზაგრები. არეულობა ქუჩებში საღამომდის იყო. ღამე მეამბოხენი სცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ დაჭერილი მოთავეები; საღამოს მოვიდნენ გამოწვეული სამი ბატალიონი ქვეითა ჯარისა და გამოცხადებულ იქმნა სამხედრო დროის წესი. მახლობელს სოფელს ვრაბეზშიაც აგრეთვე არეულობაა; ჟანდარმებს ქვის სროლით დაუხვდნენ. მათ სროლა იწყეს, ერთი მეამბოხე მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. ზაგრებს ყველა ადგილები, საცა ხშირი მიმოსვლაა, ჯარებმა დაიჭირეს. საპოზიციო გაზეთები დაიჭირეს, გაზეთმა „სრბობრანმა“, რომლის წერილმა გამოიწვია არეულობა, შეაჩერა თვისი გამოსვლა. სამხედრო დროის წესის გამოცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პეტერბურგი. ჯავშნიან გემის „რუსალკის“ დაღუპულ მეზღვაურთა სახსოვრად აგებულ ძეგლის კურთხევის ცერემონიალი: 6-ს ენკენისთვეს სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი საპორტო სვიმეონის ტაძარში; 7-ს სექტემბერს ჯარების მოსვლა ძეგლის წინაშე. ძეგლს რომ ფარდა აეხდება, რეველის ნავთსადგურის გემებიდგან დასცლიან ზარბაზნებს და ბაირაღებით მოირთვებიან; შემდეგ მოხდება ძეგლის კურთხევა, პარაკლისი, საუზმე მეზღვაურთა საზაფხულო კლუბში და სადილი ჯარის-კაცებისათვის.

საკომერციო სასამართლოში გათავდა საქმე კუტუზოვისა და მანტკეს გაკოტრების შესახებ. იგინი განზრახ-გაკოტრებულად იცნეს. მოვალეებმა მანეთზე 13 კაპ. მიიღეს.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,27½
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	291 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88 ⅛ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	390 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	185 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—16)

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოდ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის**. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიკი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით:

Квирилы. Квирильское Театральное Т—во.—პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა.

(10—6.—5).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 26-ს, დილის 12 საათზედ, მისის თანადასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გეგმის აღებისა და მოკირწყვლისა: 1) ს. № 286—1900 წ.—კახეთის გზატკეცილისა და ლაზარევის ქუჩის ნაპირა არხებისა, ზომით 1,100 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 2,750 მან., 2) ს. № 345—1902 წ.—ფალავანდიშვილის ქუჩის ნაწილისა, კახეთის გზატკეცილიდგან მოკიდებული, ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 900 მან; 3) ს. № 446—1900 წ.—გზისა, რომელსაც სჭრის რკინის გზა, დაწყებული რკინის გზიდგან კაპგეროვის ქუჩამდე, ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 900 მანეთად; 4) ს. № 575—1902 წ.—გზისა, რომელიც იწყება კახეთის მოედნიდგან და მიდის ხოჯივანქის სასაფლაომდე, ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 900 მანეთად; 5) ს. № 574—1902 წ.— მნაცაკანოვის აღმართის ბოლოში, კახეთის ქუჩიდგან მოკიდებული 100 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 300 მანეთად.

ვაჭრობის მსურველთ შეუძლიანთ პირობების გასინჯვა გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკაში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული მთელად საშინელის გაჭირვებისა გამო და მეგვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგის, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში ჭმადლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იურის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მცდავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3	“
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Ханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова . . . «	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოლაძისა .	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯულელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10
წმიდა ახო ტფილელი . :	„	30
ლაზარილით ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. ჭიჭინაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა . .	„	50
თამრიანი, ჩახრუხაძისა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა . . .	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით . . .	1	„
ზაწია და ბუზღია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50

ველ კითხვაზე გიგა.

მაყრები ისე მიაჭენებდნენ ბნელაში ცხენებსა, თითქო ნათელ დღეაო. ყველაზედ წინ მიჰქროდა ოსის ცხენით მიხა.

— ნელა!—უცებ დაიძახა გელიტაანთ მიხამ და ჩავარდა ცხენიანათ სადღაც ფლატეში.

— დანარჩენები შედგნენ შემკრთალნი და ჩასძახეს ფლატეში მიხას:

— მიხა, კაცო, სადა ხარ?

— აანთეთ რამე, თორე მეც არ ვიცი, სადა ვარ, მოისმა ხმა ძირიდამ მიხასი.

ზოგმა სპიჩკას დაუწყო ძებნა, ზოგმა ნავთისა და ზოგმა ჩვრებსა.

— კეტზე დაახვიეთ ჩვარი და ნავთი ისე დაასხით.

— მზათ არის, აბა, სპიჩკა გაჰკარით.

სპიჩკა დასველებულიყო და არ ეკიდებოდა.

— აი შენ გაგაღვერანა და გაგატიელა ღმერთმა, აჰაანდეე, რაღაცა სპიჩკა ხარ!—იგინებოდა სპიჩკის გამკვრელი გულ-მოსული.

ბოლოს, როგორც იყო, მოუკიდეს ტალკვესითა, რომელიც ჰქონდა ერთ მაყარს, რადგან ჩიბუხს ეწეოდა.

პატარა ხანს უკან განათდა მთელი არე და ჩაჰხედეს მიხასა. მიხა აფოფხებულიყო ფლატედან მთლად მოთხუპნული და იდგა იქითა ნაპირას მაღლა, ხოლო ცხენი არსადა სჩანდა.

— კაცო, ცხენი რაღა უყავ?—გადასძახეს აქეთა ფლატედან მაყრებმა იქით მდგომს მიხასა.

— ამენდა, ეგ ოხერი, მანდ არა გდია.

— რა მოუვიდა?

— რაღა რა მოუვიდა, ღმერთმა ნუ იცის მაგისი თავი, თურემ ფლატეს პირი ჩაჰმული ყოფილა წვიმისაგან და ეგ ვერნათ დასარჩენი შიგ გადავშვა.

— შენ ხომ არა გეტკინა-რა?

— მე, არაფერი; როგორც იყო გამოვძვერი, მხოლოდ გავისვარე, მაგრამ ცხენს-კი როგორ ამოვიყვანთ, არ ვიცი.

— მალე, თორემ ეს ოხერი ჩირაღდანი კიდეც დაიწვის,—დაიძახა მეჩირაღდნემ.

მაყრები ცხენებიდან ჩამოხდნენ, ჩაფოფხდნენ ფლატეში და დაუწყეს ცხენს წევა.

— ადე, შე ვერანო, შენა!—უტევდნენ ცხენსა და თან ეწოდნენ ასაყენებლად, ზოგი კუდიდამ, ზოგი თავიდამ.

ცხენმა შეიკრიფა უკანასკნელი ღონე და წამოდგა ტალახში ამოვლებული, როგორც ჩურჩხელა. წამოდგა, მაგრამ ახლა ამოყვანა იყო ხათაბალა.

— ხევ-ხევ წაიყვათ, ბოლოში აისვლება დაბალი ნაპირი აქვს,—დაიძახა გაღმიდამ მიხამ.

— მეტი რა გზაა,—უპასუხეს მიხასა და წაიყვანეს თავქვე. ბოლოს, როგორც იყო, გაიყვანეს და გავედით ჩვენცა.

— ბიჭო, არც შენა ხარ ნაკლებათ ამოსვრილი?—უთხრეს მაყრებმა მიხას, გავიდნენ თუ არა; მართლაცა და მიხა ცხენზე უარესად მოთხუპნული იდგა ტალახში და ძაგძაგებდა.

— ამოსვრას ვინ ინაღვლის, ნეტა ი ოხერი ქუდი არ დამკარგვოდა ტალახშია და?

— ხელსახოცი წაიკარი, არა უშავს-რა.

— რა ხელსახოცი დამადგება, ამოდენა ტალახზედა, ახლა ამ ვერანა ცხენზე რაღა ეშმაკი და ქაჯი შეჯდება,—სთქვა მიხამ და მოახტა ცხენს.

და კვლავ გავწიეთ.

კარგა მანძილის გავლის შემდეგ ჩირაღდანი ჩაქრა და გამოჩნდა ნიჩბისიდან სამთლის შუქი.

შორიდამ მოისმა ძაღლის ყეფაცა.

გ. ხერხეუშვილი.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.